ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2925337001**
თარიღი:**03/12/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ '' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის '' 61-ე მუხლის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 16 (თექვსმეტი), ხოლო საკრებულოში 8 (რვა) ერთეულით.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' №4640 განკარგულება.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხემოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება პირველი დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 5. განკაგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM